



თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 313

„26“ მარტი 2015 წ.

ქ. თელავი

„თელავის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ბაგა - ბაღების გაერთიანების რეორგანიზაციის პროცესის დასრულების შესახებ“
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №74
განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის და „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებაში ცვლილების შეტანაზე/ახალი წესდების დამტკიცებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 მარტის №27 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თელავის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ბაგა - ბაღების გაერთიანების რეორგანიზაციის პროცესის დასრულების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №74 განკარგულებაში და ამავე განკარგულებით ჩამოყალიბებულ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ბაგა - ბაღების გაერთიანების (საიდენტიფიკაციო კოდი №431171983) წესდება ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

გამგებელი

ალექსანდრე შათირიშვილი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირის - ბაგა - ბაღების

გაერთიანების წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის (შემდგომ ტექსტში - თელავის მუნიციპალიტეტი) ბაგა - ბაღების გაერთიანება (შემდგომ ტექსტში - გაერთიანება) არის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საფუძველზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
2. გაერთიანება შექმნილია თელავის მუნიციპალიტეტის ქონების საფუძველზე და მის კონტროლს ახორციელებს თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
3. გაერთიანება თავის შემადგენლობაში აერთიანებს აკურის, ვარდისუბნის, წინანდლის, ყარაჯლის, კისისხევის, იყალთოს, რუისპირის, გულგულის, ვანთის ბაგა - ბაღებს და სანიორის, ქვ.ხოდაშნის, ბუშეტის, კონდოლის, თეთრწყლების, ართანის, ფშავლის, ლაფანყურის, კურდღელაურის და ლალისყურის საბავშვო ბაღებს.
4. გაერთიანება დამოუკიდებლად წარმართავს აღზრდით და დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.
5. გაერთიანება საკუთარი მიზნების გასახორციელებლად, მისი უფლებამოსილების ფარგლებში დებს გარიგებებს, გამოდის მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.
6. გაერთიანებას აქვს მრგვალი ბეჭედი თავისი სახელწოდებით, დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიში ბანკში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
7. გაერთიანების მისამართია ქალაქი თელავი, ალადაშვილის ქუჩა №2.
8. გაერთიანების ელექტრონული ფოსტის მისამართია: bagabagebisgaertianeba@gmail.com

მუხლი 2. გაერთიანების მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. გაერთიანების მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნებას, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას, მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. მოზარდებში სხვისი აზრისა და საკითხებისადმი პატივისცემის უნარ - ჩვევების ჩამოყალიბებას.

2. გაერთიანება სასწავლო - აღმზრდელობით პროცესს წარმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის სახელმწიფო პროგრამების, სტანდარტების და განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

3. გაერთიანება აღსაზრდელებს უქმნის ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური სრულყოფის პირობებს.

4. ბაგა - ბაღში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

5. ბაგა - ბაღში ჯგუფების დაკომპლექტება ხდება ასაკობრივი ნიშნის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სააღმზრდელო დაწესებულებების სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 3. გაერთიანების მართვა

1. გაერთიანების საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო თანამდებობიდან ანთავისუფლებს გამგებელი.

2. გაერთიანების დირექტორად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება.

3. დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს გაერთიანების საქმიანობას;

ბ) ანაწილებს ფუნქციებს და დავალებებს თანამშრომელთა შორის;

გ) თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს შესათანხმებლად წარუდგენს გაერთიანების საშტატო განრიგსა და სახელფასო ფონდს;

დ) ხელშეკრულების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს თანამშრომლებს;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - აქტს;

ვ) განკარგავს თანხებს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად;

ზ) წარმოადგენს გაერთიანებას სხვა ორგანიზაციებთან და საქველმოქმედო საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ურთიერთობაში.

6. დირექტორს ეკისრება გაერთიანების წარმომადგენლობა და პერსონალურად აგებს პასუხს:

ა) გაერთიანების საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების სწორად და მიზნობრივად ხარჯვაზე;

ბ) ბაგა-ბაღებში სასწავლო - აღმზრდელიობითი პროცესის სწორად წარმართვასა და ხარისხზე, შესაბამისი კულტურულ - საყოფაცხოვრებო და სანიტარულ - ჰიგიენური პირობების შექმნაზე.

მუხლი 4. გაერთიანების კონტროლი

1. გაერთიანების საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს.
2. გაერთიანების კონტროლი გულისხმობს ბაგა - ბაღის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.
3. გაერთიანების კონტროლს ახორციელებს თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს კონტროლის გასახორციელებლად საჭირო მასალების და ინფორმაციის წარდგენა.
4. დირექტორი გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 5. გაერთიანების ქონება

გაერთიანებას თავისი მიზნების გასახორციელებლად გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. გაერთიანების დაფინანსება

გაერთიანების დაფინანსების წყაროები:

- ა) ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გამოყოფილი სუბსიდია;
- ბ) შემოწირულობები და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;
- გ) ბავშვთა მომსახურების შენატანი (კვება და სხვა ხარჯი).

მუხლი 7. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობას

გაერთიანებას თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

- ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
- ბ) სესხის აღება;
- გ) თავდებობა;
- დ) საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრა;
- ე) სხვა გადაწყვეტილებები გაერთიანების ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 8. საბუღალტრო აღრიცხვა - ანგარიშგება

1. გაერთიანების საბუღალტრო აღრიცხვა - ანგარიშწორებას აწარმოებს ბუღალტერი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დირექტორი.

2. გაერთიანება ვალდებულია აწარმოოს საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხვა - ანგარიშგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

მუხლი 9. გაერთიანების წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის წესი

გაერთიანების წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამგებელი

ალექსანდრე შათირიშვილი